



საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი - "UniGeo" 20 წლიანი გამოცდილებით, განახლებული გუნდით, საერთაშორისო სტანდარტების პროგრამებით და სტუდენტების რეალურ დასაქმებაზე კონცენტრირებით, ახალგაზრდებს სთავაზობს მათი ინტერესების შესაბამისი ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების მიღების შესაძლებლობას.

“UniGeo”-ს მიზანია ადამიანის თავისუფლების პრინციპების პატივისცემაზე დაფუძნებით, მისი სტუდენტების წარმატებისათვის საჭირო შესაბამისი პირობების შექმნა.

“UniGeo” ახორციელებს 8 პროგრამას, რომლებიც სპეციალობის დაუფლების პარალელურად, ორიენტირებულია:

- გონებრივი და ფიზიკური შრომის კულტურის ჩამოყალიბებაზე;
- შედეგზე კონცენტრირების ჩვევების გამომუშავებაზე;
- პრობლემურ სიტუაციებში შესაძლებლობების ძიების უნარების გამომუშავებაზე

სარჩევი

1. საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი
ისტორია
მისია
2. აკადემიური კალენდარი
3. სწავლის საფასური და გადახდის წესი
4. ზოგადი რეგულაციები
5. საკონტაქტო ინფორმაცია

უნივერსიტეტის ისტორია

საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი (წარსულში - სასწავლო უნივერსიტეტი „გორგასალი“) დაარსდა 1995 წელს პროფესორ დავით ქადაგიძის უდიდესი ძალისხმევითა და უშუალო მონაწილეობით.

საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ესაა სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის ერთი მთლიანი, მუდამ განახლებადისტრუქტურა, რომელიც ერთ საერთო საქმეს - სტუდენტებისთვის კვალიფიციური განათლების მიცემას ემსახურება.

ჩვენთვის ერთნაირად ძვირფასია, ყოველი ახალი სტუდენტი, ისევე როგორც მათი იდეები და შეხედულებები. ჩვენს უნივერსიტეტს საქმიანი და მეგობრული თანამშრომლობა აკავშირებს ევროპისა და ამერიკის წამყვან უნივერსიტეტებთან. უნივერსიტეტში გაიხსნა ჰოლანდიის „ევროპის ახალი უნივერსიტეტის“ წარმომადგენლობა. ასევე, მოქმედებს ევროკომისიის მიერ დაფინანსებული პროექტი Tempus, რომელიც კიდევ უფრო მეტ შანსს აძლევს ჩვენს სტუდენტებს საუკეთესო, მაღალკონკურენტუნარიანი და კვალიფიციური განათლების მისაღებად.

UniGeo - ს მოქმედი ყველა საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტებულია. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ოთხი ფაკულტეტი: ჯანდაცვის, სოციალურ მეცნიერებათა და ბიზნესის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და იურიდიული ფაკულტეტი, სადაც ხორციელდება ხუთი საბაკალავრო, დიპლომირებული სტომატოლოგიისა და ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამები.

უნივერსიტეტში სასწავლო და სამეცნიერო მოღვაწეობას წარმართავს მაღალი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი.

ახალი მიზნებიდან გამომდინარე, 2016 წელს უნივერსიტეტმა დაიწყო რეზრენდინგი. 22 წლიანი გამოცდილებით, განახლებული გუნდით, საერთაშორისო სტანდარტების პროგრამებით ახალგაზრდებს სთავაზობს მათი ინტერესების შესაბამისი ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების მიღების შესაძლებლობას.

მისია

უნივერსიტეტის მისიაათანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის ისეთი ახალგაზრდა სპეციალისტებისმომზადება, ვისაც ძალუმს სამეწარმეო იდეების წარმატებული განხორციელება. მათი კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა შიდა და საგარეო შრომის ბაზარზე. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობის წახალისება.ხარისხიანი, ხელმისაწვდომი თანამედროვე განათლების უზრუნველყოფა ინოვაციური საგანმანათლებლო ტექნოლოგიებისა დაგამოცდილი კვალიფიციურისპეციალისტების მეშვეობით, რომლებსაც გააჩნიათ როგორც მეცნიერებაში,ასევე, პრაქტიკულ საქმიანობაში მიღებული ცოდნის რეალიზაციის უნარი.

უნივერსიტეტის მისიაა ქართული და მსოფლიო კულტურის ღირებულებების განვითარების ხელშეწყობა, ორიენტაცია დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე, სტუდენტთა პიროვნული პოტენციალის რეალიზება და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება, ჰარმონული და მაღალზნეობრივი პიროვნების აღზრდა. ასევე, ისეთი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც შეძლებენ, განავითარონ საქართველოს პოლიტიკური და სოციალურ- ეკონომიკური გარემო.

უნივერსიტეტი ახალგაზრდებს სთავაზობს ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი, სტუდენტთა და ფართო საზოგადოების (განათლებისა და შრომის ბაზარი) მოთხოვნის შესაბამისი მაღალი ხარისხის უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობას.

2. აკადემიური კალენდარი

სასწავლო წელი შედგება 2 სემესტრისგან:

- შემოდგომის სემესტრი
- გაზაფხულის სემესტრი

- თითოეული სემესტრი 20 კვირიანია
- სასწავლო წელი სექტემბრის მეორე ორშაბათიდან იწყება

3. სწავლების საფასური და გადახდის წესი

2016-2017 წლის სწავლის საფასური

- ტურიზმი - 2500 ლარი
- ბიზნესის ადმინისტრირება - 2500 ლარი
- სტომატოლოგია - 2500 ლარი
- სამართალი - 2500 ლარი
- ინგლისური ფილოლოგია - 2300 ლარი

- ✓ სწავლის დაწყებამდე, უნივერსიტეტი სტუდენტთან აფორმებს ხელშეკრულებას, რომელშიც სტუდენტი თავად ირჩევს სწავლის საფასურის გადახდის გრაფიკის სასურველ ვარიანტს.
 - უპროცენტო გადახდის გრაფიკის შემთხვევაში სტუდენტის პირველადი შენატანი უნდა იყოს არანაკლებ 30%
 - გადანაწილება შესაძლებელია სემესტრულად ან ყოველ თვიურათ, თუმცა გადანაწილებული თანხის პერიოდი არ უნდა აღემატებოდეს აკადემიური წლის პერიოდს
- ✓ კონტრაქტის დარღვევის თითოეულ შემთხვევაში დაგეგმვისრებათ ჯარიმა 250 ლარის სახით
- ✓ კონტრაქტის დარღვევის მესამე შემთხვევაზე, ერთი აკადემიური წლის მანძილზე შეგიჩერდებათ სტატუსი
- ✓ სწავლის საფასურის გადახდისას ბანკის თანამშრომელს უნდა მიეწოდოს შემდეგი ინფორმაცია:
 - სწავლების საფეხური (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა)
 - სტუდენტის პირადი ნომერი
 - სტუდენტის სახელი და გვარი

- ✓ UniGeo-ს პარტნიორი ბანკია TBC ბანკი, სწავლის საფასურის გადახდა ნებისმიერი ბანკიდან შეგიძლიათ.

საბანკო რეკვიზიტები:

თი ბი სი ბანკი

ბანკის კოდი TBCBGE22

ანგარიშის ნომერი GE86TB7911836080100001

დამატებითი ინფორმაციის შემთხვევაში დაუკავშირდით UniGeo - ს ფინანსურ მენეჯერს

გიორგი სოსიაშვილი

საკონტაქტო ინფორმაცია:

ტელეფონი-(+995) 32 291 50 33

(+995) 568 712 283

E-mail - g.sosiashvili@unigeo.edu.ge

4. ზოგადი რეგულაციები

სტუდენტის ეთიკის კოდექსი

ნაწილი I. ზოგადი დებულებები

1. საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტის ეთიკის კოდექსი განსაზღვრავს მოთხოვნებს სტუდენტის ქცევის მოდელისადმი.
2. კოდექსი შედგენილია მორალისა და ეთიკის საყოველთაოდ მიღებული წარმოდგენის, საქართველოს მოქალაქეთა ტრადიციების, ჩვევებისა და ჩვენი ქვეყნის კულტურული ფასეულობების გათვალისწინებით.
3. კოდექსი ზნეობრივი ორიენტირია სტუდენტებისათვის, იგი ემსახურება უნივერსიტეტის მთავარ ამოცანას - სტუდენტთა ყოველმხრივი და ჰარმონული განვითარების უწყვეტი პროცესის სრულყოფას.

ნაწილი II. ეთიკური ნორმები

4. საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის თითოეულმა სტუდენტმა უნდა იცოდეს ეთიკის კოდექსი, როგორც სწავლისა და ქცევის ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტი. სტუდენტი უნდა ზრუნავდეს უნივერსიტეტის პრესტიჟზე, იმიჯსა და მაღალ ავტორიტეტზე, განუხრელად უნდა იცავდეს მის ინტერესებს.
5. უნივერსიტეტის თითოეული სტუდენტი უნდა იცავდეს საქართველოს კონსტიტუციის დებულებებს, ქვეყნის კანონებს, კულტურულ ფასეულობებსა და ტრადიციებს.

6. უნივერსიტეტის სტუდენტი პატივისცემით უნდა მოექცეს თითოეულ მოქალაქეს მიუხედავად მისი რასის, ეროვნების, ასაკის, სქესის, სოციალური სტატუსის, პოლიტიკური, რელიგიური მრწამსისა და მსოფლმხედველობისა.

7. უნივერსიტეტის სტუდენტმა არ უნდა გაავრცელოს ინფორმაცია, რომელიც ხელს შეუწყობს ადამიანების, სხვადასხვა დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, მათ შორის უნივერსიტეტის კომპრომენტირებას, წესრიგის დესტაბილიზაციას ნებისმიერი ფორმით. უნივერსიტეტის სტუდენტისათვის შეუფერებელია მონაწილეობა არასანქცონირებულ მიტინგებსა და აქციებში.

8. მათიპატივისა და ღირსების დაცვის მიზნით უნივერსიტეტის სტუდენტებმა უნდა გამოავლინონ ისეთი თვისებები, როგორცაა:

- წესიერება, პატიოსნება, კეთილსინდისიერება და შრომისმოყვარეობა;
- თავაზიანობა, ტაქტი, ეტიკეტის ნორმების დაცვა;
- თავშეკავება და თვითკონტროლი;
- კრიტიკის სწორი აღქმა, შეცდომების აღიარების უნარი;
- დამოუკიდებლობა.

9. უნივერსიტეტის სტუდენტი მუდმივად უნდა იმაღლებდეს ცოდნის დონეს, სწავლის პროცესში ავლენდეს მაღალ საშემსრულებლო დისციპლინას, ინიციატივას, აღიქვამდეს სასწავლო პროცესს, როგორც ცხოვრების განუყოფელ ნაწილს.

10. უფროსკურსელები უნდა ზრუნავდნენ დაწყებითი კურსების სტუდენტებისადმი დადებითი გამოცდილების გაზიარებაზე, უწევდნენ დახმარებას უნივერსიტეტში სწავლის მათთვის ახალი პირობებისადმი ადაპტაციის პროცესში.

11. სტუდენტი ვალდებულია დაიცვას სუბორდინაცია ადმინისტრაციასთან, პროფესორ-მასწავლებლებთან და უნივერსიტეტის თანამშრომლებთან ურთიერთობაში.

12. ურთიერთობა სტუდენტებს შორის, ისევე როგორც სტუდენტებსა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, პროფესორ-მასწავლებლებსა და უნივერსიტეტის თანამშრომლებს შორის უნდა ეფუძნებოდეს ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის, ტაქტის, კორექტულობის, თავაზიანობისა და ურთიერთდახმარების პრინციპებს.

13. საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსთან შეუფერებელია სხვისი პატივისა და ღირსების დამცირება, აგრესიის, არაკორექტული ქცევის სხვადასხვა ფორმით გამოვლინება. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე, ისევე როგორც მის ფარგლებს გარეთ, აკრძალულია არანორმატიული და შეურაცმყოფელი ლექსიკის გამოყენება.

14. სტუდენტის ურთიერთობისა და მისი გარეგნული იერის კულტურა უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტის მაღალ წოდებას.

15. მამრობითი სქესის სტუდენტებს ეკრძალებათ უნივერსიტეტის შენობაში ყოფნა ქუდით ან სხვა თავსაბურავით, თუ ეს არ ეწინააღმდეგება მათ ნაციონალურ ტრადიციას, რელიგიურ მრწამსს ან რაიმე სხვა საპატიო გარემოებას. ლექციებსა და უნივერსიტეტში სხვა ოფიციალური ღონისძიებების ჩატარებისას სტუდენტებისათვის რეკომენდირებულია ჩაცმულობის ისეთი სტილი, რომელიც შეესაბამება თანამედროვე უნივერსიტეტის სტუდენტის იმიჯსა და მისი სწავლების პირობებს.

16. უნივერსიტეტის შენობაში, მათ შორის აუდიტორიებში, დერეფნებში, სამუშაო ოთახებში, ღია ვერანდებსა და ტუალეტებშითამბაქოს მოწევა აკრძალულია, როგორც სტუდენტებისა და მათი მშობლებისათვის, ასევე პროფესორ-მასწავლებლების, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისათვის. თამბაქოს მოწევა შესაძლებელია მხოლოდ უნივერსიტეტის შიდა ეზოში სპეციალურად გამოყოფილ ადგილას, ფარდულის ქვეშ.

17. სტუდენტმა განუხრელად უნდა დაიცვას მეცადინეობის ცხრილი, დროულად გამოცხადდეს შესაბამის აუდიტორიაში. ლექციებზე, სემინარებზე, კონსულტაციებსადაგამოცდებზე დაგვიანებულები დაიშვებიან მხოლოდ ლექტორის ნებართვით. სტუდენტი ვალდებულია დაესწროს სასწავლო განრიგით გათვალისწინებულ ყველა მეცადინეობას. გაცდენა საპატიო მიზეზით უნდა დასტურდებოდეს ოფიციალური დოკუმენტით.

18. სტუდენტმა არ უნდა შეუშალოს ხელი ლექციის ან სემინარის მსვლელობას. დაუშვებელია ერთმანეთთან საუბარი, მობილური კავშირის საშუალებების გამოყენება.

19. სტუდენტმა დროულად უნდა შეასრულოს ლექტორის დავალებები, საშინაო, საკონტროლო და სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სხვა სახის დამოუკიდებელი სამუშაო.

20. სტუდენტის მიერ ლექტორის ხელმოწერის გაყალბება ან მისი მცდელობა, უნივერსიტეტში სწავლასთან პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებული სხვა რაიმე დოკუმენტის ფალსიფიცირება განიხილება, როგორც მისი სახელის გატეხა და საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტისა და საქართველოს ინტელექტუალური ელიტის მომავალი წარმომადგენლისთვის შეუფერებელი ქცევა.

21. უნივერსიტეტის სტუდენტი აღიარებს როგორც აუცილებელსა და სასარგებლოს სტუდენტური აქტივობის შემდეგ მიმართულებებს: საგანმანათლებლოს, სპორტულს, შემოქმედებითსა და საზოგადოებრივს. უნივერსიტეტში სწავლის პროცესში იგი ყოველნაირად ცდილობს ხელი შეუწყოს ამგვარ საქმიანობას.

22. უნივერსიტეტის ნებისმიერი მატერიალური ობიექტის, მისი საკუთრების მიმართ სტუდენტის დაუდევარი დამოკიდებულება, ვანდალიზმი, მითვისება, შენობიდან თვითნებური გატანა განიხილება როგორც სტუდენტის სტატუსისათვის შეუფერებელი, მართლსაწინააღმდეგო ქმედება.

23. სტუდენტი ვალდებულია გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის საბიბლოთეკო-ინფორმაციულ რესურსებს, დაიცვას სისუფთავე და წესრიგი აუდიტორიებში, კვების ობიექტზე, საკონფერენციო და სპორტულ დარბაზებში, უნივერსიტეტის მთელ ტერიტორიაზე.

24. სტუდენტს შეუძლია დაიცვას თავისი უფლებები კანონით გათვალისწინებული ყველა საშუალებით.

ნაწილი III. დასკვნითი დებულება

25. წინამდებარე კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შეუძლია საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის ნებისმიერ სტუდენტს. მიზანშეწონილობისა და დასაბუთების შემთხვევაში მათი წინადადებები უნდა დაამტკიცოს რექტორმა აკადემიური საბჭოს წარდგინებით.

საკონტაქტო ინფორმაცია

- საინფორმაციო ცენტრი
ტელეფონი: (+995) 32 291 50 33
E:mail Info@unigeo.edu.ge
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
თამარ გიორგობიანი
ტელეფონი: (+995) 598 106 130
E:mail t.giorgobiani@unigeo.edu.ge
- სასწავლო პროცესის მართვის სამსახური
ეკატერინე კურტანიძე
ტელეფონი: (+995) 558 545437
E:mail e.kurtanidze@unigeo.edu.ge
- ფინანსების მართვის სამსახური -
გიორგი სოსიაშვილი
ტელეფონი: (+995) 568 712 283
E:mail g.sosiashvili@unigeo.edu.ge